დების შესახებ. უკაცრავად, თქვენ ვინღა ბრძანდებით, რა უფლებით იხარჯებით და ილანძღებით? ვინ მოგიხმოთ თქვენ წესიერების აღსადგენად? თუ წესიერების აღდგენა შეუძლიათ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ და რუსეთის სოც.-რევ." პარტიების ხელმძღვანელობს, დამერწმუნონ, რომ იმ რუსეთს უფრო ეპირვება ახლა ეს წესიერება და ასეთი ბრძენი პოლიტიკოსები და იქ შეიტანონ ეს წესიერება და აქ კი, როგორც იქნება ჩვენი მთავრობა, ჩვენი პარლამენტი, ჩვენი პოლიტიკური პარტიები მოახერხებენ ღირსებისა და წესიერების დაცვას.

მესმის როცა მთავრობა თავის მოხელეებს თავის ადგილს მიუჩენს და წესიერებისაკენ მოუწოდებს, მაგრამ უცხო ქვეყნის პარტიები, ჩვენი სახელმწიფოს თვალსაზრისით ფრიად საეჭვო პიროვნებანი კი არავის მოუწვევია დამრიგებლად და ჭკუის მასწავლებლად.

ს. დადიანი.

## ერთი ჩვენი მეთაურის გამო

გერმანიის დელეგაციის საინფორმაციო ბიუროსაგან რედაქციამ შემდეგი წერილი მიიღო:

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის 278 №-ის მეთაურში თქვენ იხსენიებთ ჩემს საუბარს „კავკაზსკოე სლოვოს" თანამშრომელთან. ამის გამო პატივი მაქვს შემდეგი განვიმარტოთ:

გერმანიას სრულებით არა აქვს განზრახული დაჟინებით მოითხოვოს ამიერკავკასიის სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შეერთება, მაგრამ ის დიდის სიამოვნებით შეეგებებოდა, თუ ხსენებულ რესპუბლიკებს შორის აღსდგებოდა. მჭიდრო კავშირი სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათისა, რადგან მათი ახლო მეზობლობა და საურთიერთო დამოკიდებულება მეურნეობაში მოითხოვს სწორედ ისეთ მჭიდრო კავშირს, რომელიც სრულებით არ შელახავს საქართველოს დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება სომხური საზოგადოების ზოგიერთი წრეების პოლიტიკურ მისწრაფებათ, ვორონცოვ დაშკოვის როლს და სხვა კითხვებს, რომელთაც თქვენ იხსენიებთ, მე მათ შესახებ არაფერი მითქვამს და ამგვარი არაფერია არც თქვენ მიერ მოხსენებულ წერილში.

ნება მომეცით ამას დავურთო ის, რომ მე დიდის სიამოვნებით მოველაპარაკებოდი ყველა ამ საკითხზე თქვენი პატივცემული გაზეთის თანამშრომელს.

გულწრფელი პატივისცემით:

ცუგმაიერი.

## მთავრობაში.

ივლისის 19-ს სხდომაზე მთავრობამ განიხილა ქვეშევრდომობის საკითხი და დაადგინა მიიღოს საკონსტიტუციო კომისიის მიერ შეტანილი პროექტი: საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ყველა, საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები, ვინც 1914 წლის ივლისის 18-მდე რომელიმე საზოგადოებაში იყო ჩაწერილი და ვინც ამ კანონპროექტის გამოცხადების შემდეგ 2 კვირის განმავლობაში არ გამოაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქობაზე.

—

დადგენილ იქმნა, დეპეშათა სააგენტოს 50277 მანეთის მაგივრად მიეცეს ივლისის ხარჯებისათვის საჭირო ფული.

—

ქიათურაში საფუთო გადასახადის შესახებ შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

—

შრომის მინისტრის მოხსენების თანახმად, სამხედრო გზისა და საქ. რკ. გზის მუშების და მოსამსახურეების დაკმაყოფილების შესახებ, დადგენილ იქმნა რუსეთში მიმავალ ცოლშვილიან მუშებს 1000 მან. მიეცეს და იმათ კი ვინც აქ რჩება 500 მან, მარტოხელთ კი ამის ნახევარი.

## ყაზბეგის მიმართულებით

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩვენი რაზმი ავჭალიდან ანანურზე წავიდა. აქ ჩვენ თავი დაუარეთ ბოლშევიკებს და ხელთ ვიგდეთ ორი ზარბაზანი და ორი ტყვიისმფრქვეველი; ბევრი ვინტოვკა და ტყვია, აგრეთვე 200 ტყვე. ამ თვის 8-ს ავიღეთ ფასანაურის ხეობა და ფასანაური. დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს მზვერავებმა, ჩვენმა ცხენოსნებმა და ნაწილმა ჯუღელის რაზმისამ, რომელთა მოქმედებამ გადასწყვიტა ჩვენი გამარჯვება.

ამ ბრძოლებში ჩვენ დაგვიჭრეს მამაცი კორნეტი სილოვან გაბუნია ფეხში, პრაპორშჩიკი ჭუმბურიძე, კაპიტანი გურგენიძე, პოდპ. საშა შენგელია, ყველანი მსუბუქად. მძიმედ დასჭრეს პრაპ. დიმიტრი გულისაშვილი. დაგვიჭრეს აგრეთვე მსუბუქად პარტიზანები: ლესალიძე, ლეო აბაიშვილი, თედო ურიგაშვილი და შალვა მუშკუდიანი.

დღეს 10 რიცხვი არის და ჩვენი რაზმი მლეთზე მიდის.

—

ჩვენი რაზმი წინ მიიწევს ყაზბეგისაკენ. ივლისის 11-ს დილით იგი მლეთს გასცილდა და დილითვე მლეთის ჩრდილოეთით იყო დაბანაკებული 7 ვერსტის მანძილზე.

მძიმედ დაჭრილი პრაპ. გულისაშვილი გარდაიცვალა, აგრეთვე ჯარისკაცი ვარლამ კიკნაძე.

## ტუაფსეს მიმართულებით

ხოჟიდან. მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშით ატყობინებენ:

„საბჭოების ძალა გავაუქმეთ, გლეხობა იარაღით ხელში გვეხმარებოდა ამ საქმეში. ათი დღის წინ საბჭოს გაუქმებამდე სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა კრებაზე უნდობლობა გამოაცხადეს საბჭოს, უარი გამოუცხადეს მათთვის ჯარისკაცების და საჭირო მასალების მიცემაზე.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის მოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში.

სოჭის ოლქის მუშების საერთო კრებაზე, სახალხო რაზმის თავმჯდომარის ამხ. თუმარკინის მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია—მხარი დაუჭირონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ოლქის სხვა და სხვა ადგილებშიაც. ჩვენმა ჯარმა თავისი მოქმედებით მცხოვრებლების სიყვარული დაიმსახურა. ჩვენ ჯარში არსებული წესრიგი ხელს უწყობს მის სიძლიერეს.

გადაეცით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას სალამი.

ქართ. ეროვნ. საბჭოს თავმჯდომარე ხოფერია.

## მირბახის მოკვლა და მოსკოვის აჯანყება

ვენა. ივლისის 10. გრაფ მირბახის მოკვლის შესახებ შემდეგი ცნობები მოვიდა: მკვლელების გაქცევის შემდეგ იმ შენობასთან, სადაც მემარცხენე ს.-რევ. კონგრესი იყო, ივლისის 6 ს ღამით ქუჩებში ბრძოლა დაიწყო. ბრძოლაში, როგორც დაბეჯითებით ამბობენ, ინგლისელი აგიტატორებიც მონაწილეობდნენ. საბჭოს მთავრობის ჯარმა სწრაფად აღადგინა წესიერება. სოც.-რევოლიუციონერთა ლიდერები კონგრესზე დაატუსაღეს; დაიჭირეს თუ არა მკვლელები—არ ვიცით. ხანდო წყაროებიდან ვიცით, რომ ს.-რ. აჯანყება მოსკოვში ფუჭად ჩატარდა. ბოლშევიკების მდგომარეობა უფრო განმტკიცდა.

ლუგანო. ივლისის 10. გუშინ ყველა გაზეთი ერთხმად დიდის სიმპატიით მიესალმა გრაფ მირბახის მოკვლას; დღეს იგინი გადმოგვცემენ: მირბახი მოჰკლეს მიზნით, რომ საბაბი მისცენ გერმანელებს მოსკოვი დაიკავონო. ალბერტ ტომა „ჰუმან-ტეში" აცხადებს, რომ მირბახის მოკვლას თავისი გასამართლებელი საბუთები აქვს; ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ რუსეთში კიდევ არის ძალები, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ გერმანიასო.

მოსკოვი. ივლისის 10, მემარცხენე ს.-რევ. აჯანყება ადვილად ჩააქრო მოსკოვის გარნიზონმა. ქალაქში წესიერება აღდგენილია. მთავრობის მოწოდებაში სოც.-რევ. მოხსენებული არიან, რუსეთის ბურჟუაზიის და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების აგენტებად.

## ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. ივლისის 11. საომარი ცნობა.

კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი: ზომიერი ბრძოლა საღამოს გაცხოველდა, ღამით მზვერავთა მოქმედებაა. მტრის ძლიერი იერიში ბეტიუნთან მოვიგერიეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი ენსა და მარნას შუა ენერგიული ბრძოლაა. მტერმა ჩვენი პოსტები განდევნა პავიერის დაბლობიდან ახალი იერიშებით, რომელიც მან ვილერ-კოტერეს ტყესთან მოიტანა. ხელში ჩაგვივარდა ამერიკელების 5 აეროპლანი, მთელი ესკადრა 6 ჰაეროპლანიდან შესდგებოდა, მთელი შემადგენლობა დავატყვევეთ.

### იტალიის ფრონტი.

ვენა ივლისის 11. იტალიის ფრონტზე ახალი არაფერია. ალბანიაში ჩვენმა ჯარმა დაიკავა ახალი ხაზი. ფრანგების როტამ, რომელიც წინ მიიწევდა დევოლის ჭალით, ჩვენ გავრეკეთ.

### პალესტინის ფრონტი.

ხტამბოლი. ივლისის 11, ივლისის 9 ს ღამით ზღვის სანაპიროებით გეჯასის რკ. გზის აღმოსავლეთით პატრულების ენერგიული მოქმედება სწარმოებს. მტრის პატრულების იერიშები მოვიგერიეთ, ერთი ჩვენი საზვერავი რაზმი მტრის მავთულიან ხლართების გადალახვის შემდეგ, მის თხრილებში შეიჭრა. რაზმი დაბრუნდა უკან და თან ტყვეები მოიყვანა. იორდანეს აღმოსავლეთით, ივლისის 10-ს დილით ჩვენი საზვერავი რაზმი. სახიდო სიმაგრეს მიუახლოვდა ელნიმრინ-ერიხოს გზის ორივე მხრით მტერმა ჩვენს წინააღმდეგ კავალერიის ერთი ესკადრონი გამოგზავნა, რომელმაც ბრძოლის შემდეგ დაიხია მას დაატოვებიეს 30 კაცი და 40 ცხენი ესკადრონის კომანდირი და ერთი ჯარისკაციც დატყვევებული არიან.

ხტამბოლი. ივლისის 11. დაგვია-

### აფრიკაში

ნებულ ცნობების მიხედვით მტრის რაზმმა, რომელსაც ჩვენს ტრიპოლში ალყა შემოვარტყით, მაისის 7-ს იერიში მოიტანა. იერიში მოვიგერიეთ და მტერიც დიდათ დავაზიანეთ. მაისის 18-ს საარტილერიო ცეცხლში გავხვიეთ ხომსის სამხედრო დაწესებულებები. მ ისის 19-ს ჩვენმა ჯარმა გარეკა მტრის ცხენოსნები, რომელნიც წინ მიიწევდნენ სუუარინის რაიონში.

## უცხოეთი

მადრიდი. დიდი მღელვარებაა ინგლისელ ფრანგებისა ესპანელთა ბაზარზე შეთანხმების სახელმწიფოების ვალიუტის გამოსასწორებლად უნაყოფოდ რჩება. ინგლის-საფრანგეთის ვალიუტის კურსი წინა კვირას რომ აიწია ახლა უცბად 18,07 და 66,60-დან ჩამოვიდა 17,08 და 63,30-ზე.

ბერლინი. ივლისის 10. ოსმალეთის ახალი სულთანი თავის წერილში, რომლითაც [illegible] ადასტურებს, ამბობს: რომ [illegible] დაიცავს კონსტიტუციას და [illegible] ძალას მოიკრებს ომის კეთილად დასაბოლოებლად.

## საჩხერის ამბები

როგორც აღვნიშნეთ მილიციის უფროს კოლია გაჩეჩილაძეს არავითარი ღონისძიება არ უხმარია მოთარეშეთა ბრბოებს შებრძოლებოდა. რა კი არსაიდან პატრონი არა სჩანდა, თავის პასუხისმგებლობით საქმეს სათავეში ჩასდგომია ხარაგაულის მცხოვრები პოდპორუჩიკი ზაქარია ლურსმანაშვილი, რომელიც თავგამოდებულად შესდგომია ზრუნვას, სამხედრო ქონება მაინც არ ჩაეგდო ხელში საჩხერეში უკვე შემოჭრილ გამხეცებულ ბრბოს. ყოველივე ეს ხდებოდა პარასკევს დილით ივნისის 28. ბ-ნი ლურსმანაშვილი ბრძოლის ველზე მარტოკა დარჩენილა ორი კაცით. კოლ. გაჩეჩილაძე როცა ჩასულა სადგურზე მილიციონერებით, აქ ხმა გავრცელებულა ლურსმანაშვილი დაატყვევესო. გზააბნეულ უფროსებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, მხოლოდ 5 მილიციონერს გადაუწყვეტია. დავიხოცნეთ და ზაქარია ლურსმანაშვილი დავიხსნათ წამებისაგანო და წამოსულან საშველად საჩხერის საკრებულო ტაძრისაკენ. ექვსი შვიდი კაცით ლურსმანაშვილი შესდგომია ბრძოლას და ბრბოს განსაფანტავად აუმოქმედებია ტყვიის მფრქვეველი. მაგრამ რას გახდებოდა ზაქარია ლურსმანაშვილი 7 კაცისაგან შემდგარი მებრძოლი „ჯარით", როდესაც ჩიხიდან მოკიდებული საჩხერის ხიდამდე ირგვლივ ათასობით ბრბო წამოსულა საჩხერისაკენ სათარეშოდ. საჩხერის მხრიდან მტრის მოწინავე ძალებს მოუვლიათ უკანიდან მებრძოლთათვის და დაუჭერიათ ტყვიისმფრქვეველზე მომუშავენი ირაკლი ბადლაკელიძე, კოლია ბარბაქაძე და ერთიც მოუკლავთ კიდეც, რომლის ვინაობა ვერ შევიტყვე. დაჭრილები პოდპ. ზაქ. ლურსმანაშვილის სადგურისაკენ გაუგზავნია. თითონ მოუკიდნია ტყვიისმფრქვეველი და გაჰყოლია. სადგურის ახლო კიდევ წამოშველებია მას რამდენიმე კაცი, მათთვის ეს იარაღი ჩაუბარე-

## ახალციხის დღეები

მაისის 24.

ხალხის გაჭირვება უმაღლეს წერტილამდე ადწევს. ილევა სურსათ-სანოვაგე. ფულიც გაძვირდა. კიდევ ერთი თვე და მშრომელი ხალხი და „ჩინოვნიკობა" ფოსტის მოხელეების გარდა, რომლებსაც პურის მიღებაში რაღაცა პრივილეგია აქვთ მოპოებული, ფორმალურ სიმშილის წააწყდებიან. ზოგიერთი ფოსტის მოხელეები-კი პრივილეგიისაც, რომ არ სარგებლობდნენ კიდევ ბევრ ხანს გაუძლებენ გაჭირვებულ მდგომარეობას, ვინაიდან მათ შორის ყოველ დღე გახურებული კარტის თამაშია და ფული ობრად გადადის ერთის ჯიბიდან მეორის ჯიბეში. მაშ რა გააკეთონ და რითი გაირთონ თავი მუშაობას ჩვეულმა ფოსტის მოხელეებმა? ტელეგრაფი და ფოსტა არ მუშაობს და „ჩინოვნიკებს" პირველ თავის პროფესიათ გაუხდიათ კარტის თამაში და ასეთ გაჭირვებულ დროს საზოგადო საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ.

ქალაქში და ახლო სოფლებში სიჩუმეა. სოფ. ჭალაში და დრელში მდგომმა ჩვენმა მზვერავებმა გადმოგვცეს, რომ დღეს დილის 5 ნახ. საათზე აწყურის მხრიდან მოისმოდა ძლიერი და ხანგრძლივი ტყვიისმფრქვეველების და ზარბაზნების ხმა. თუ ეს მართალია, სჩანს ჩვენმა ჯარმა იწყო შემოტევა აწყურზე ბორჯომის მხრიდან და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ორ-სამ დღეში გვეღირსება ტყვეობიდან განთავისუფლება.

ახალციხის გარშემო სანგრების თხრას ბოლო არ უჩანს, რომლის გამო ხალხი ძალზე დაიღალა და არ იცის რანაირად აიშოროს თავიდან სანგრებში მუშაობა.

მაისის 25.

თითქმის ერთი თვე გადის რაც ტყვედ ვიმყოფებით და შველა კი არსაიდან არის. ამ ხნის განმავლობაში, ახალციხეში არსებულ საზოგადო და საქველმოქმედო დაწესებულებებს, სულ მცირე გამონაკლისით, სამშობლოს თავდაცვისათვის არაფერი გაუკეთებიათ და არც უზრუნვიათ.

დღეს სამოქალაქო ბაღში, რაბათის დედათა სკოლის სასარგებლოთ გამართულ იყო სეირნობა ლატარია-ალეგრით, ბაღში უკრავდა ქართული პოლკის სამხედრო მუსიკა. სეირნობას უმეტესად დაესწრნენ ქართველი ჯარის კაცები. სომხის საზოგადოებიდან თითქმის არავინ დასწრებია.

სკოლის ადმინისტრაციას კარგი იქნებოდა სეირნობის და ლატარია-ალეგრის გამართვა გადაედო სხვა დროისთვის, ვინაიდან დღევანდელმა სეირნობამ ისედაც ჯიბე ცარიელ საზოგადოებას უფრო გაუცარიელა ჯიბე და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს სკოლის ადმინისტრაცია იხდის იუბილეს ახალციხის ერთი თვის ტყვეობის აღსანიშნავად.

აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ სკოლის გამგეობას სეირნობის და ლატარია-ალეგრის გამართვის მაგიერ, ცოტათი მაინც ზომა მიეღო სამშობლოს თავდაცვისათვის და ამ შემთხვევაში, ის უფრო დიდ სარგებლობას მოუტანდა და სამსახურს გაუწევდა ჩვენს საერთო უკიდურეს მდგომარეობას.

სამშობლოს თავდაცვა არ გამოიხატება მარტო იარაღის და ტყვია წამლის შეძენაში. ქართველი მშრომელი მასსის, რომელიც დღეს სიმშილს განიცდის, ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით—ესეც სამშობლოს და მისი ერის თავდაცვაა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ სკოლის ადმინისტრაციას, როგორც საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას, ასეთ გაჭირვებულ დროსაც კი ამ მიზნისაკენ ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

დღეს სროლის ხმა არსაიდან მოისმის. სიჩუმეა აწყურის მხარეზეც და არ ვიცით, რა შედეგი მოჰყვა გუშინდელ ამ მხარეზე ზარბაზნების სროლას.

მაისის 26

დღეს შესრულდა ერთი თვე, რაც ახალციხის მცხოვრებნი იმყოფებიან ტყვეობაში. ხალხის გაჭირვება ძალზე დიდია. ქალაქის სასურსათო კომიტეტს გამოელია ფქვილი, მეორე დღეა ქალაქში პური აღარ იშოვნება. გამოილია სიმინდის ფქვილიც, რის გამო მცხოვრებნი განიცდიან სიმშილს. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა თავს იკვებენ გაფუჭებული და აჯაჯლებული კართოფილით. კართოფილიც ჩქარა გამოილევა და მცხოვრებნი ჩავარდებიან ფორმალურ სიმშილში.

დილით ადრე სოფ. არჯულში ძლიერი თოფის სროლა იყო. ეს სოფელი 13 აპრილის შეტაკების შემდეგ მაჰმადიანებმა მიატოვეს, მიატოვეს და ვერ მოასწრეს ხორბალის და ავეჯეულობის გატანა. ამიტომ დღეს სომხის ჯარმა წამოიღო იქიდან, როგორც ხორბალი, აგრეთვე ტყავეულობაც. ხელტარიც-კი არ გაუშვა სახლებში. ხორბალი ჩაბარდა ქალაქის სასურსათო კომიტეტს ავეჯეულობა კი წამომღებლებმა, როგორც დავლა, თავიანთ სახლებში დაიოიგეს.

საგულისხმიეროა ერთი რამ: სოფ. არჯულში ცეცხლისგან გადარჩენილი იყო ორი სახლი, რომელშიაც თავი უნდა შეეფარა მუსხიდან გამოხიზნულ ქართველ გლეხობის ერთ ნაწილს, მაგრამ ნათქვამია: „საწყალ კაცს ქვა აღამართში მიეწევაო" სწორედ ასე დაემართა ისედაც გავერანებულ ქართველ გლეხობას. დღეს სომხის ჯარისკაცებმა ხორბალის და ავეჯეულობის გამოტანის შემდეგ ეს ორი სახლიც გადასწვეს; გადასწვეს იმ დროს, როდესაც მათ კარგად იცოდნენ, რომ სოფ. არჯულის ორ სახლში უნდა ჩასახლებულიყვნენ მუსხელები, გადასწვეს იმ დროს, როდესაც გენერალ მაყაშვილისაგან სასტიკად აკრძალულია რომელიმე სოფლის დარბევა-აწიოკება და ცეცხლით განადგურება; მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ადგილობრივი სომხობა, სულ მცირე გამონაკლისით, მხოლოდ და მხოლოდ, ასეთ საერთო გაჭირვებულ დროსაც კი, იცავს თავის ინტერესებს და სხვა ეროვნების ხალხის ინტერესი და გასაჭირი არაფრად არ მიაჩნია, არ მიაჩნია და არ უწევს ანგარიშს იმ დროს, როდესაც ახალციხის ბატონ-პატრონი არიან ქართველები, რომლებიც ასე თავგამოდებით დღემდის სინდისიერად იცავენ ადგილობრივ სომხების და მათი ბურჟუაზიის ინტერესებსაც. ცხადზე უცხადესია და თვით სომხობამაც კარგად იცის, რომ ახალციხესა და მის მაზრაში ქართველობა, რომ არ ყოფილიყო, სომხობა ორი-სამი თვის განადგურებული და აწიოკებული იქნებოდა ადგილობრივ მაჰმადიანების მიერ.

სწორედ ვერ გაგვიგია სომეხ ჯარისკაცების ასეთი საქციელი, ვერ გაგვიგია ადგილობრივ სომხობის ბოლშევიკური გამოსვლები და მიმართულება და ვერ გაგვიგია, თუ რა უდევთ მათ გულის სიღრმეში?

სოფ. ჭალის მხრიდან ღამით მოისმოდა ხშირი თოფის ხმა, რომელსაც არაფერი შედეგი არ მოჰყოლია.

მაისის 27.

დღეს ახალქალაქის მხრიდან ზარბაზნების ხმა მოისმოდა. ალბად ჩვენმა ჯარმა აწყურის გზის მაგიერ აირჩია ახალქალაქის გზით მაჰმადიანების ხაზის გამორღვევა, რამაც ცოტა არ იყოს მცხოვრებლებს. იმედი მოგვცა, რომ დადგა დრო ახალციხის განთავისუფლებისა. გენერალი მაყაშვილი წავიდა სოფელ ანდრია-წმინდის ბ-რეს და იქიდან თვალყურს ადევნებს ახალქალაქის მხრიდან დაწყებულ ოპერაციებს და უცდის შემთხვევას დახმარება აღმოუჩინოს ახალქალაქის გზით წამოსულ ჩვენ ჯარს.

ტყვია წამლის გაყიდვას, ამ გაჭირვებულ მომენტშიც-კი, ნაძირალა და სამშობლოს მოღალატე ჯარის კაცების მიერ ბოლო არ უჩანს. ისე გათამამდნენ ეს ვაჟბატონები, რომ არავის არ ერიდებიან და დღეს ზარბაზნის ყუმბარის ასაფეთქებელ მასალას (ბარუთს) ქუჩაში ცხადათ ჰყიდნენ სომხებზე გირვანქას 25 მანეთად.

სოფ. წყუროთის და წირის სომხის გლეხები, რომლებიც ჩამოლაგდნენ ქალაქში, დიდ გაჭირვებას განიცდიან. მათ დაჰკარგეს სოფლები (გადამწვარია) და სხვილ-ფეხა საქონლის გარდა აღარაფერი გააჩნიათ. მალე ამ საქონელსაც გაჰყიდიან, თუ დროზე არავინ მოგვეშველა და მაშინ მათი მდგომარეობა მეტის მეტად აუტანელი შეიქმნება.

მაისის 28.

გუშინდელ ზარბაზნების ხმას ახალქალაქის მხრიდან დიდ იმედებს ვამყარებდით და გვეგონა ეს არის გზა გაიხსნება და შეძლება მოგვეცემა ვიქონიოთ კავშირი ტფილისთან, მაგრამ დღევანდელმა დღემ იმედები არ გაგვიმართლა, ვინაიდან ახალქალაქის მხრიდან არავითარი ხმა აღარ მოისმის და არც ის ვიცით, თუ რითი გათავდა და ან რა შედეგი მოჰყვა ახალქალაქის მხარეზე აჭეხილ ზარბაზნებიდან სროლას.

როგორც გადმოგვცემენ ბორჯომის და ახალქალაქის გზები გადაღობილია მაჰმადიანთა მიერ ქვა-ლოდებით და ტყის ხეებით. თუ ეს მართალია, ჩვენ ჯარს დიდი დრო დასჭირდება გზების გაწმენდისთვის და ამ შემთხვევაში არც ისე ადრე გვეშველება. როგორც ვფიქრობდით,

რამდენიც დრო გადის, იმდენი ქალაქში ვრცელდება ქურდობა და ძარცვა-გლეჯა, წუხელის ქურდებს გაუტეხავთ ძველს ნაწილში, ხარაზის კოსტა გაბაშვილის სახლი. გაბაშვილის მარტოხელი ბერიკაცია, ქურდები მის სახლში სახურავიდან ჩასულან და მოუპარავთ ოთხასი მან. ფულათ და ერთი ვერცხლის ქამარი. ქურდობა მომხდარა კ. გაბაშვილის შინ არ ყოფნის დროს, როდესაც გაბაშვილი სანგრებში სადარაჯოთ ყოფილა გაყვანილი.

მაისის 29.

ადგილობრივ დაშნაკელების პარტიის გაზეთ „შარჟუმი"-ს 31 №-ში ახალციხის ქალაქის თვითმართველობა მოუწოდებს მცხოვრებლებს დაიცვან წესი და სიმშვიდე ქალაქში და სთხოვს ნუ დაუჯერებენ ქართველ-ებრაელების წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებს, ვინაიდან ასეთი ხმები ვრცელდება შავი რეაქციის და ძველი რეჟიმის მომხრე პირების მიერ და წარმომადგენენ პროვოკაციის ნაყოფს. მოწოდებას სხვათა შორის ხელს აწერს ქალაქის თავი ზორიანიც.

ამავე გაზეთში მოთავსებულია ქალაქის ხმოსნის ავაქიანის და მილიციის უფროსის თეიმურაზოვის წერილები. პირველი სწერს, რომ ვინ ბედავს ქართველ-ებრაელების პატიოსნების და ღირსების შელახვასაო და მეორე-კი თავის წერილში ამბობს: მილიციას არავითარი დანაშაული ებრაელების წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებში არ მიუძღვისო.

დღეს ებრაელების რაბინმა დ. ბააზოვმაც მიიღო ადგილობრივ სომხის ეროვნულ საბჭოსაგან წერილი, სადაც საბჭოს მთელი სომხობის სახელით ებრაელებს უცხადებს თავის ნდობას,

ნათქვამია: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს"-ო და ჩვენც გვწამს ქალაქის მოწოდება და ავაქიანის თეიმურაზოვის და სომხების ეროვნულ საბჭოს წერილები, მხოლოდ გვაკვირვებს მათი საქციელობა, გვაკვირვებს ვინაიდან აწყურელი ქართველი-ებრაელი მ. კოჟიაშვილი 13 დღე, პროვოკაციის წყალობით, დაპატიმრებული იყო სომხების მიერ; ეს იცოდა ქალაქის თავმა ზორიანმა, იცოდა მან როგორც სომხების ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ და იცოდა მან როგორც სომხების შტაბის გავლენიანმა წევრმა. ეს ამბავი იცოდა ქალაქის ხმოსანმა ავაქიანმაც და მილიციის უფროსმა თეიმურაზოვმაც, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მათ არავითარი ზომა არ მიუღიათ ამ ებრაელის განთავისუფლებისათვის და თუ რაბინი დ. ბააზოვი არ ყოფილიყო ეს ებრაელი, როგორც პროვოკაციის მსხვერპლი, დღესაც დაპატიმრებული იქნებოდა.

თავს მართლულობს მილიციის უფროსი თეიმურაზოვიც და ის-კი ავიწყდება, რომ მისი მილიციონერები აპატიმრებდნენ ებრაელებს ვითომდა ჯაშუშობისათვის. თუ მართლაც მილიციას დანაშაული არ მიუძღოდა, რისთვის და ვისი ბრძანებით აპატიმრებდნენ ებრაელებს და თუ სომეხი მილიციონერები ამას სჩადიოდნენ თავის ნებით, რატომ ასეთ არა მკითხე პირების წინააღმდეგ ნაბიჯები არ გადადგა მილიციის უფროსმა?

ზემოხსენებული წერილები და მოწოდება გამოიწვია ქართველთა ეროვნულ საბჭოს კრებამ, რომელმაც დაგმო ასეთი პროვოკაციის გავრცელება ქართველ-ებრაელების მიმართ. რომ იტყვიან „სიკვდილს შემდეგ სინანულით" სწორედ ასე დაემართათ წერილების და მოწოდების ავტორებს, რომლებმაც დაინახეს, რომ ქართველ-ებრაელობისაც პატრონობა დაუწყო ადგილობრივმა ქართველთა ეროვნულმა საბჭომ.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და კიდევ ვამბობთ, რომ არც ერთი ერი არ უნდა იყოს დაჩაგრული და უნდა ვუცქეროდეთ ერთმანეთს ნდობის თვალით და თუ ასე არ მოვიქცევით თან და თანობით საყველას მოგველის განადგურება და მოსპობა.

დღესაც ახალციხის მდგომარეობა უცვლელია, ისევ ჩაკეტილნი ვართ.

ქ. ქ. მ—ლი.

(შემდეგი იქნება)

ბია და თითონ მარტოკა წამოსულა მეამბოხეთა გატაცებისაგან გადაურჩინა 70-მდე უპატრონოდ დარჩენილი ცხენები და საკომისარიატოში შენახული თოფები და პატრონები. მას ცხენებისათვის ველარ მიუსწრია, ხოლო საკომისარიატოში შენახული რამდენიმე ათასი პატრონა გადაუმალავს. 8 თოფის წაღება ველარ მოუხერხებია, რადგანაც უკვე ძლიერ საშიში გამხდარა მისი მდგომარეობა და წასულა სადგურისაკენ. ბ-ნს ლურსმანაშვილს მხოლოდ ორის კაცის ქლენტისა და ბეჟანიშვილის დახმარებით მოუხერხებია სამი ცხენისა და რევოლვერების გადარჩენა. ყოველივე ეს მას ჩაუდენია იმ იმედით, რომ ხიდი გამაგრებული ჰქონიათ პრაპორშჩიკებს დაოშვილსა და კალანდაძეს. მატარებელი მთლად გაჭედილი დახვედრია ბ-ნ ლურსმანაშვილს მილიციონერებითა და მრავალი ლტოლვილებით. ეს იყო მატარებელი უნდა დაძრულიყო მას განკარგულება მოუხდენია მის შესაჩერებლად, ყველა ძალების თავის მოსაყრელად და უკან მდგარ ბრბოთა გასამკლავებლად რომ ცოტათი მაინც შეემსუბუქებია მდგომარეობა. როდესაც გამორკვეულა, რომ იგი აქ ველარას გახდებოდა მას დაუძრევია მატარებლით ქიათურამდე. იმავე დღით მას დეპეშა გაუგზავნია მოშველებოდნენ. ქუთაისიდან, მას შეუერთებია ქიათურის ადგილობრივი ძალები სულ 60 კაცამდე და თავის თავზე მიუღია მათი ხელმძღვანელობა. მთავრობის ძალთა მეთაურს ბ-ნს ლურსმანაშვილს გაუმაგრებია ქიათურის მიდამოები. კაპიტან ლეჟავას მეთაურობით 5 კაცი დასახვედრად გაუგზავნია ს. ბაჯითისაკენ; საჩხერისაკენ გაუგზავნია 5 კაცი ადგილობრივი მილიციონერი, დაუკავებია მილიციონერ გამყრელიძის ხელმძღვანელობით დარკვეთის გზა, გაუმაგრებია თავისივე ხელმძღვანელობით და უნტერ ოფიცრის მეთაურობით შუქრუთის გზა და ამ რიგად გაჩერებულა დამხმარე ძალთა მოლოდინში. იმავე დღეს ივნისის 28 პარასკევს საღამოთი მოსულა ქიათურაში სახედრო ძალები უკვე გამოცდილ ხედრის კაპ. ნ. კ. იზ—ლის მეთაურობით, რომელიც ბ-ნს ლურსმანაშვილს უნახავს, მთელი საქმის ვითარება მისთვის გაუცვნია და თავისი რაზმელებით იგი მას ბ-ნს იზ—ლის განკარგულებაში დამდგარა. მხედარი კაპ. იზხ—ლი როდესაც საქმის მთელს ვითარებას დაწვრილებითით გაცნობია თავისი შტაბის თანხმობით შესდგომია ზრუნვას პირველყოვლისა საჩხერე გაეწმინდა, გაეცნო ხალხის სულიერი ვითარება და ამის მიხედვით ემოქმედნა. მისთვის გამორკვეულა, რომ საჩხერისა და ქიათურის სამილიციო ნაწილების იცხოვრებენი არა ნაკლებ 60000 სულისა არაფერს შუაში იყო თუ დიდი ნაწილი მცხოვრებთა სათარეშოდ გამოსულიყო ამის უმთავრესი მიზეზია ის რომ ოსებს და მათ ძოსხორე ქაუაზე გადაცდარ ახალგაზდობას უთავოესად, „სასამლდათაოეის“ იარაღით და ძლიერის კოოპაგანდით ხალხი შეეცოჭა, მით უმეტეს რომ ბევრს მივარდნილ სოფელ—კუთხეში დღესაც არ იციან რაშია საქმე, ვინ არის ჩვენი მთავრობა, საქართველომ გამოაცხადა თუ არა დამოუკიდებლობა და სხვ. პირიქით მათში განმტკიცებულა ის ცრუ ხმები ბოოოტ მობოლშევიკე პროვოკატორებისაგან გავრცელებული, რომ საქართველო გაიოკეს ოსეთისაგან თავდებობა, დაიჭიოაევეს გვარლია და შეუდგიან იარაღის აყრას, რომ განამტკიცონ ძველი ბატონყმობა.

საქმის ვითარების ამ რიგად გამორკვევამ სახაბი ისკა ბ-ს კაპ. იზხ—ლს ფრთხილი ხაიჯეით შესდგომოდა ხალხის დაწყნაროებას და ხალების სისხვრპლით საქმის გამოსწორებას, და ჩვენ გულწრფელად შეგვიძლიან დავამოწმოთ, რომ თაი მან თლაც შესძლო ძლიერ მცირე სისხლით ხალხის დამშვიდება და მოთარეშეთა ისე განიავება, რომ 4000 აქტიურ მოწინააღმდეგე 400—500 ყაჩაღ ბრბომდე გაადნოდა მათი ალსასრულის დღეც დღიურ საკითხად გადაიქცა. ვიდრე აქტიურად შეუტევდა, ბ-ხა იზ—მა საქმეთა ვითარების გამოსარკვევად ქიათურიდან სულ რამდენიმე კაცის თანხლებით საჩხერისაკენ გაგზავნა პოდპ. ზაქ. ლურსმანაშვილი. რომელიც რკინის გზის მეისრეს ტანისამოსში გამოწყობილი ორთქლმავლით წასულა. ბ-ნ ლურსმანაშვილი ასულა სად. დარკვეთში, დარკვეთის ხიდი გაუმაგრებია, საჩხერის ამბები გაუგია და იმავე დღეს უკან დაბრუნებულა.

ივნისის 29 იზხ—ლს დილით ადრე მთელის მხედრობით აუწევია უწინ ნაალმდეგოდ სადგურ დარკვეთამდე. მალე აქ ძალები გაუნაწილებია ერთი შტო რაზმისა გაუგზავნია სარეკ-ბაჯითისაკენ. მეორე პასიეთზე და შუაში მიუყოლებია ცხენოსანი ჯარი მარცხენა ფრთას შეუტევია სარეკიდან მარჯვენას პასიეთ-ქორეთიდან ისე კი რომ გასვლა წინ საჩხერის ხიდისაკენ დაესწრო მარჯვენა ფრთას რომ ამნაირად გზის შეკვრით მთელი ბრბო საჩხერეში მოემწყვდია. თვით ხელმძღვანელს ბ-ნს იზხ—ლს მაღლობი პოზიცია დაუჭერია და ზარბაზნები მიუმართავს სარეკ-ბაჯითისაკენ. ამ დღეს მთელი ძალები ბრბოებისა ჩვენს მებრძოლთ საჩხერისაკენ გაურეკიათ. ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია, ხოლო მათგან ბლომად დაუპატიმრებიათ და სოფელ ბაჯითში ზარბაზნით ოთხი სახლი დაზარალებულა. სოფლელთაგან დაჭრილა ოთხი სული: ქალი, ერთი ბავშვი და ორი კაცი. ჯარის უფროსის აზრით სარეკიდან 3-დან 4 ათასამდე ყოფილა მოწინააღმდეგე, მაგრამ ჩვენებს ისეთის ენერგიით შეუტევიათ წინ ზარბაზნის გზის გაკაფვით, რომ მალე გატეხილა მოწინააღმდეგე და ღამით ძალით მოსაკრებად საჩხერისა და სარეკს შუა ყანებსა და კლდეებში დაბანაკებულან. სხვათა შორის ღამით ჩვენს ზარბაზნებს დარკვეთსა და საჩხერის სადგურს შუა შეუმჩნევიათ მოწინააღმდეგეთა ერთი დასი 12 კაცამდე, რომელთაც სდოშებიათ რკინის გზის ლიანდაგის აყრა. დაუშენიათ თოფი, 6 კაცი მოუკლავთ, სამი დაუპატიმრებიათ, ხოლო დანარჩენნი მიმალულან. კვირას, 30 ივნისს ბ-6 იზ—ლს დასვენებულის ძალით კიდევ უფრო ენერგიულად შეუტევია ბარბაროსათვის. ამ დღეს ხიმდვილი ომი გაჩაღებულა. ბატარეის ნაწილის უფროსს ისე შორს წაუწევია, რომ ზარბაზნების ტყვიებს უკვე მოდინახის ციხე შეუმძვრევია და აქ გამაგრებულ ბოროტმოქმედთათვის თავზარი დაუცია, საჩხერისათვის შეუტევიათ აგროლეკე ჩვენებს საჩხერის გასწვრივ ხოდასუბუქიიდან და სულ რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ მ წინააღმდეგე გზა აჩნეული გაფანტულა კორბოულისაკენ, სავანისაკენ, ჩიხისა და ოროლულისაკენ. საჩხერის გაწმენდის შემდეგ ასე ნაშუადღევს 1 საათზე ჩვენები ასულან: სადგური საჩხერე დაუკავებიათ და შესდგომიან გამოვლევას, თუ რა უბედურება სწვევია საჩხერესა და მის მიდამო სოფლის მცხოვრებლებს. ამდენისხეთ მოკლედ უკვე, თუ ვინ გაცარცვეს საჩხერეში. დაწვრილებით ზარალის აღნუსხვა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც მთელი სახელე უკვე დაცლილა, ხოლო სახლები და სავაჭრო დაწეებულეცანი დაქცეულია. სხვათა შორის ბოლშევიკ-ყაჩაღებს დიდი ზარალი მიუყენებიათ საჩხერის ორ-კლასიან სკოლის მეხოთისათვის, რომელიც მხეც ხალხისაგან შენობა მაგნით მთლად მასგრეულ-ოიხგოეულია. მთელს სურათს საჩხერისა და მის მიდამოების აოხრება გატაილებისას მკითხველებს შემდეგ გადმოვცემთ, ხოლო ამ ჟამად საუბჯობესოა გავყვეთ ჩვენის ჯარის მოქმედების თიხლიზროობას. 30 ივნისს საჩხერის დაკავების შემდეგ ჩვენს ჯარს შეტევა განუგრძვია. შეტევა გაგრძელებულა ჩიხის მხრით ძდ. ყვირილის გაღმა და ივანწმინდის მხრით გაღაღმა. იმავე დღეს სოფ. ივანწმინდაში დილით ოაიიე მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცილებლად ხალხს ტბაზე ყრილობა მოუხდენია. მეთაურების დაურწმუნებიათ ყველანი აუცილებლად მეესოულეციათ მთავროის მოთხოვნილებაი. ხალხი სრული თანახმარი გამხდარა ამ წინადადების გარდა სიმონია სამხარაძისა, რომელსაც, როგორც მცხოვრებლებმა გადმოგვცეს, წინა ღამით მოეყვანა 6 ოსი და ვისაც იგინი არ ეხდობოდნენ, თოფები ჩამოურთმევიათ და თან წაუღიათ. სამხარაძე ისევ სოფელში ყოფილა როცა იქ მოსულა ჩვენი რაზმის სამი მხვერავი. მათ გამოგებებია თოფით ხელში სიმონია სამხარაძე და როდესაც მხვერავთა მეთაურს ალექსანდრე ძიგარიშვილს მოუთხოვნია თოფი გაგდო ხელიდან სამხარაძეს მოუსწრია, თავის მხრით თოფით ტყვია დაეხლია და სამშობლოს საკეთილდღეოდ თავ-დადებული ძიგრაშვილი იქვე მოუკლავს. სამხარაძეს მოუსწრია სოფ. სავანისაკენ გაქცეულა. ივანწმინდელები იმის მოლოდინში, რომ ამის გამო სოფელს აიკლებდნენ მთლად გახიზნულან. ზოგი სადგურზე ჩასულა ეცნობებია საქმის გარემოება კაპიტანისათვის, რომ სოფელი არაფერს შუაშია და ერთის მიერ ჩადენილი ბოროტება ხალხს არ მოხვეოდა თავზე. ამავე დროს სოფელს ხვდებოდა ზარბაზნები, მაგრამ საბედნიეროდ არავინ დაზარალებულა, თუმცა ხალხი ისეთს საშინელს შიშს მოუცავს, რომ მათი ღრიალი და მწუხარება მაღლა ღმერთს ესმოდა. ერთი ქალი ტ. ქ—ძისა ისეთს გიჟურს მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ საექიმოდ ტფილისში წამოიყვანეს. ამავე დროს ბრძოლა გრძელდებოდა ჩიხისაკენ, რაც შედეგად საგრძნობი ზარალი მიადგა მცხოვრებლებს. აქ ბრბოებს მეთაურობას უწევდა ისე, როგორც საჩხერის გაცარცვის დროს. დომენტი დიმიტრის ძე და ტიმოთე ანტონის ძე ჭილაძეები. მოწინააღმდეგენი საჩხერის მიდამოებიდან, როდესაც საგრძნობლად შორს გადენეს ყველა სოფლებიდა კომისარებს ებრძანა კაპ. იზხანელთან გამოცხადებულიყვნენ. მისულან სოფლის ასისთავები, კამისარები და მათი შუამდგომლობით რაზმის უფროს ხალხისათვის ასეთი მოწოდებით მიუმართავს:

„ძმებო და მოქალაქენო! ხალხის მტრებმა რამდენიმეთ მიზანს მიაღწიეს. მათგან დაგებულ მახეში ბევრი თქვენგანი გაება. თქვენ აყევით პროვოკაციას თქვენსავე მთავრობის განკარგულებას წინააღუდეგით. ხალხის არჩეულ მოხელეებს იარაღით ხელში თავს დაესხა თქვენი შვილები, მოკლეს სამი მილიციონერი, წაართვეს სამოცამდე ცხენი და სხვა, რის შემდეგ ხელში ჩაიგდეს და გაცარცვეს ქალაქი საჩხერე და ამასვე ემუქრებოდნენ ქალაქ ქიათურას.

არავითარმა ჩაგონებამ მთავრობისა და ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანოების წარმომადგენლებისამ არ გასჭრა. ხალხი მშვიდობიან შრომის მაგივრად ამ ალის თავზე აიყარა და მცარცველებს დაყვებოდა, რამაც აიძულა რესპუბლიკის მთავრობა სასტიკი ზომები მიეღო და აგიტატორის მაგიერ წესიერების აღდგენა ჯარისთვის მიენდო, იმ ჯარისთვის, რომელიც ისევ ხალხის შვილებისაგან შესდგება, მაგრამ გონიერი შვილებისაგან, რომლებიც არ აყვენ პროვოკატორებს, არამედ შეგნებულად იცავენ თქვენსავე საქმეს. ჯარმა ეს უკვე დაამტკიცა თავის მოქმედებით: მიუხედავად იმისა, რომ მას საუკეთესო ამხანაგებს თვალ-წინ უკლავდენ, თქვენ ხედავდით, რომ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ არა შურისძიებას, არამედ წესიერების აღდგენას.

დღეს ხალხის ამრევი მცარცველები გაფანტულია, მაგრამ მთავრობის მოთხოვნილებანი ჯერ არ დაკმაყოფილებულა და წესიერება ჯერ კიდევ არ გამტკიცებულა.

ქვეყანა ოთხი წელია დამშეულია. საჭიროა შრომის გაორკეცება, ყანების მოვლა და მოსავლის მოწევა. ამისათვის კი საჭიროა სრული წესიერება.

ყველა ამის გამო უკანასკნელად გთხოვთ იარაღს ნულარ გვახმარებთ, რაც ჩვენ გარეშე მტრისათვის გვეჭირდება მოგვეხარეთ საერთო შეგნებით დააკმაყოფილეთ მთავრობის შემდეგი მოთხოვნილებები:

1. დაუყონებლივ განთავისუფლდეს ტყვეები;

2. დაუყონებლივ უნდა მოიბოჯოს და წარმოადგინოთ თოფები, რევოლვერები, ტყვიები და სახაზინო ნივთები;

3. სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს საჩხერიდან გატაცებული ცხენები და კერძო პირთა ქონება;

5. წარმოადგინეთ ის პროვოკატორ მეთაურები, ვინც ეს არეულობა მოაწყო და სახალხო საქმე საფრთხეში ჩააგდო და ნ. დაუყონებლივ გაგზავნეთ სახედრო საკრებულოში (ყვირილაში) ყველა ის, ვინც რესპუბლიკის მთავრობის დეკრეტის ძალით ვალდებულია ჯარში იმსახუროს.

ეს მოთხოვნილებანი დაუყონებლივ უნდა შესრულდეს, ვინაიდან წესიერების სრული აღდგენა აუცილებელია გარეშე მტრისაგან თავის დაცვის უკეთ მოსაწყობად. ამიტომ ჩვენ მოთხოვთ მის ულაპარაკოდ დაკმაყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით ისევ იარაღს მივმართოთ“.

ქაჯუჩელა.

# ახალი ამბავი

◆ **მიხაილოცი დეპეშა.** ნ. ჟორდანიას სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: ქ. ხონტას მოქალაქეები სამადლობელ პარაკლისის გადახდის შემდეგ გულითად მისალმებას უთვლიან საქართველოს რესპუბლიკას, სამართვინო უღლისა და ანარქიისაგან განმთავისუფლებელს, გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას კაცობრიობისთვის, რომელსაც მივყავართ დამფუძნებელ კრებამდე და ბრწყინვალე იმედებამდე.

◆ **საჩხერის ამბების ლიკვიდაცია.** სამხედრო მინისტრს ქუთაისიდან ატყობინებენ; საჩხერის რაიონში ბრბოები გაფანტულია. ბევრი დავატუსაღეთ და მეთაურებს გვაძლევენ. მოკლულთა რიცხვში ცნობილი ყაჩაღი ზაქარია დარბაიძეცაა, აჯანყებულთა მეთაური.

◆ **აჭარლები.** ქუთაისიდან დეპეშით გვატყობინებენ: აჭარლები სამხედრო საზღვარს გადმოდიან, მცხოვრებლებს საქონელს ართმევენ და მცველებს თოფს ესვრიან.

◆ **დამოუკიდებელთა კავშირი.** კვირას, ივლისის 14-ს, 11 საათზე, დილით ტფილისის საადგილ მამულო ბანკის შენობაში (ლორისმელიქოვის ქუჩა) დანიშნულია დამოუკიდებელთა კავშირის (უპარტიოთა) საბჭოს კრება. საბჭო სთხოვს დაუყონებლივ დაესწრონ წევრები, კანდიდატები საბჭოსი და კომისიების წევრები.

◆ **ტფილისის აფთიაქებში** მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა აუწყებს კავშირის წევრებს, რომ კვირას ივლისის 14-ს, დილის თერთმეტ საათზე საექიმო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება. განსახილველია საყურადღებო საკითხები.

◆ **კავკას. სახოფლო-სამ. საზოგ. კრება.** დღეს, შაბათს, ივლისის 13-ს, მოხდება კრება სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, 1) ვინოგრადოვ-ნიკიტინის მოხსენება. საჭყეო ტეხნიკურ წარმოებებში ტეილორის სისტემის შემოღება, 2) მიმდინარე საკითხები. დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

◆ **ფშავლების დელეგაცია.** ფშაველთიდან ჩამოსულმა დელეგაციამ გუშინ მიმართა თხოვნით შინაგან საქმეთა მინისტრს, მისცეს მათ იარაღი ქისტებისაგან თავ-დასაცავად. გაიხსნა გზები მთებში და ქისტებმაც იწყეს ძარცვა გლეჯა. საუჯერ ჰქონდათ შეტაკება ფშავლებთან და ხელ-ცალიერები გაბრუნებულან. ფშავლები მოითხოვენ 350 თოფს და რამდენიმე ათას ტყვიას.

ბოლშევიკურს გამოსვლას მთაში ალაგი არა აქვს და არც თუ დუშეთის ბოლშევიკები მიუდიათ მთაში.

◆ **შემოწირულება.** ეროვნული ფონდისთვის მღდ. ბაგრატ სალარიძესაგან ერთი ვერცხლის მღვდლის ჯვარი.

◆ მთავარი გამგე საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილებისა ფინანსთა სამინისტროში დ. გ. აფხაზი ლიკვიდაციის საქმეების შესახებ, შაბათობის მაგიერ, იღებს პარასკეობით 11-დან 1 საათამდე. სხვა დღეებში კი წინად გამოცხადებული წესი რჩება.

◆ **ქართული ენის კურსები.** საქართველოს რესპუბლიკის ჯარის შტაბთან, სამხედრო პირთათვის გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით ივლისის 20-დან, იხსნება ორთვიანი ქართული ენისა და წერა-კითხვის კურსები: მსურველთ შეუძლიან ჩაეწერონ კურსებზე საველე შტაბში (სასახლის ქ.) 10—4 საათამდე.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა** მთავრობას თხოვნით მიმართა ტფ. გუბერნიის კომისარს მისცეს 1,637088 მან. და ქუთაისის გუბერნიის კომისარს 240,000 მან. მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა შესწყდებაო.

◆ **ხმები დადის,** რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მილიციის დეპარტამენტი არსდებაო; უფროსად ინიშნება ივ. კაჩუხაშვილი, მის თანაშემწედ დარახველიძე, ანარქიასთან საბრძოლველად ექვსი უფროსი მილიციონერი.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: კაპ. კოტელნიკოვი ლოთობისა და უწესოებისათვის; ჯარის კაცი ვას. სალინაშვილი ქუჩაში სროლისათვის; პოსტის თავის დანებებისათვის ჯარის-კაცი ნიკ. ხარაბაძე: მოქ. აკ. მელაძე და მიხ. ფირცხალავა საპენის მოპირისათვის.

◆ **პოდპორუჩიკი იური ლუკას** ძე აროშიძე მსახურებდა შავი ზღვის „პოგრანიჩნი“ ბატალიონში. აპრილის 10-ს იღებდა მონაწილეობას სოფ. ვაშნართან ბრძოლაში, მას შემდეგ მისმა მშობლებმა არაფერი იციან მის შესახებ, ვსთხოვთ ვინც რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: სადგური ნიგოითი პორუჩიკ რაჟდენ აროშიძეს.

◆ **ანტისანიტარული აღგომარეობა.** ბარონის ქუჩაზე, ეზო № 14 საშინელ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. როგორც ფეხსადგილები, ისე სანაგვე ყუთები იმდენად უსუფთაოდ ინახება, რომ ეზოში შესვლა შეუძლებელია ცუდი ჰაერის გამო. მოიჯარადრე ს. გეგიაძე არავითარ ყურადღებას არ აქცევს მცხოვრებლების თხოვნას სისუფთავის დაცვის შესახებ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და მთავრობამ მაინც აიძულოს სისუფთავის დაცვა, რათა თავიდან ავიცდინოთ ის აუარებელი სენი, რომელიც დღითი დღე ფეხს იკიდებს ქალაქში.

◆ **საარქეოლოგიო საზოგადოება.** ხვალ, კვირას ივლისის 14-ს დღის თორმეტ საათზე კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში (გიორგის ქ. № 4 ალექსანდროვის ბაღის მახლობლად) დანიშნულია არქეოლოგიური საზოგადოების საჯარო კრება, სადაც პ. ზ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი წაიკითხავს თვის მოხსენებას ბორჯომის ხეობის სიძველეთა შესახებ. მოხსენების წაკითხვის დროს ნაჩვენები იქნები მრავალი დიაპოზიტივი. კრებაზე შეუძლიანთ დაესწრნენ არა წევრებს.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ.

ორშაბათს ივლისის 15. ნაძალადევში, მარინეს ეკლესიის სკოლის შენობაში დანიშნულია მორიგი პარტიული კრება. ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ აუცილებლად. მოხსენებას წაიკითხავენ ამხან. ალ. წერეთელი და ვახ. კოტეტიშვილი. დასაწყისი ხალ. 7 საათზე (ძველის დროთი).

—

კვირას ივლისის 14. 11 საათზე, პარტიულ კლუბში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის კრება. დაგვიანება შეუძლებელია.

# ზოგი რამ

საქართველო 1801 წ. შეიქმნა მსხვერპლი მოსკოური ცენტრალიზმისა, თვით კი იმ დროს წარმოადგენდა რამდენსამე პოლიტიკურ ერთეულს, რომელთა შორისაც ზოგჯერ უთანხმოებასაც ადგილი ჰქონია თითქმის იგივე ციწა-წყალი ეჭირა მაშინ, რაც ეხლა აქვს ჩვენს სახელმწიფოსა, იმ მიწა-წყალზე მაშინ ითვლებოდა სამი სამეფო ქართლი, კახეთი და იმერეთი და ოთხი სამთავრო ოდიში, გურია, სვანეთი და აფხაზეთი, სამცხე კი ადრე ჩამოშორებულ და გადასულიყო ოსმალთ ხელში, რადგანაც რჯულით და პოლიტიკური სიმპატიებით იმათკენ იყო.

რუსულმა ცენტრალიზმმა ქართული მრავალცენტრიანობა მოსპო, რამაც გამოიწვია გაერთიანება საქართველოსი. აი ეს არის მარტო რუსთა მართვა-გამგეობის დადებითი მხარე, უარყოფითი მხარე კი ისეთი და იმდენია, რომ თუ საქართველოს ერი გადარჩა და მოსკოვის უღელ ქვეშ არ გაჩანაგდა სულიერად და ხორციელად მისი მიზეზი, ჩემის აზრით, მკვლევარმა უნდა იძიოს ქართველობის ბუნებაში, ქართველი ერის სიმტკიცე მისი მრავალ თემიანობა იყო და არის, მრავალფერი ნიჭი; მრავალფერი ხასიათი და მრავალფერი ზნე-ჩვეულება მოდგმის, ენის და ფსიქიკის ერთობასთან ერთად.

საქართველოს თავგადასავალი რომ მოვიგონოთ, უნდა ვსთქვათ, რომ მის კულტურას ავრცელებდა თითქმის ყოველი მისი შემავალი თემი, მაგრამ მესვეურობა სხვა და სხვა დროს მის სხვა და სხვა თემს ჰქონია, ნურას ვიტყვით ქრისტეს უწინარესით პერიოდისას, რომელიც თითქმის ოცი საუკუნით განისაზღვრება და როცა ქართველთ წინაპარნი მუსხნი ოცდა ხუთ სამეფოდ დაყოფილნი ებრძოდნენ ასურ ბაბილონსა, ხეთნი ეგვიპტეს ცილილებოდნენ სამყაროს ბატონობას, ხოლო ქართუ, როგორც უხუცესი ამზადებდა ნიადაგს შესაქმნელად საერთო კულტურისა, რომელიც უნდა გამხდარიყო სულის საზრდოდ ყოველი მისი მონათესავე თემისთვის. ქრისტეს შემდეგი ისტორიაც გვაძლევს მაგალითს, შეიძლება ითქვას, უფრო თვალსაჩინოსაც იმისას თუ, საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ძლიერება როგორ იქმნებოდა. საქართველოს ბედს ქრისტიანობიდან დაწყებული თითქმის მე-13 საუკუნემდე, ე. ი. მონღოლთ შემოსევამდე მასალამეს ოქროს საუკუნე მესხეთ-ჯავახეთი, მეთექვსმეტე საუკუნიდან ვიდრე 1801 წლამდე ქართლ-კახეთი უდგა სათავეში საქართველოს პოლიტიკურ კულტურულად აღორძინების საქმეს მოსკოური ორიენტაციის მიღებით და ქართული კლასიციზმის გავრცელებით. ხოლო 1801 წლიდან, როცა საქართველოს დაედგა მოსკოვის უღელი, ვიდრე 1918 წლის მაისის 26 დღემდე, როცა უღელი იგი განგდებულ იქმნა, თემობრივი მოღვაწეობა შეიცვალა საერთო ქართულ მოღვაწეობად და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოიჭრა ევროპიული ნორმები, რამაც მოღვაწენი დაჰყო სხვა და სხვა პარტიად და მათ შორის სოციალ-დემოკრატების პარტიას წილად ჰხვდა ხელმძღვანელობა ჩვენი ერის ცხოვრებისა. თუმცა ასე იყო თემობრივი ელფერი მაინც დაჰკრავს აწინდელ ჩვენებურ მოღვაწეობას და პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე დასავლეთი საქართველო უფრო წარმოდგენილი.

აი ეს გახლავს მიზეზი, რომ დღეს საქართველოს დედა-ქალაქს ტფილისში მრავლად მოიპოვება დასავლეთელი ქართველობა, როგორც სახელმწიფოს საქმეთა მპყრობელნი, ისევე საზოგადოებრივი მოღვაწენი. საქართველოსთვის სულ ერთია, მისი რომელი თემი მესვეურობს მის ბედნიერებას, მის კეთილდღეობასა მაგრამ საქართველოს თემთა ასეთი ერთობილი მოქმედება ძილს უფრთხობს რუსის და სომხის შოვინისტებს, რომელთაც ჰმურთ ქართველ თემთა გაერთიანება და თვალში ეჩხირებათ ლიხთ იმიერ ქართველთ ტფილისში ყოფნა და ტფილისის ნაციონალიზაციისთვის მათი ზრუნვა. ტფილისი თუროქ რუსებისა და სომხების ყოფილა და იმერლობას იქ ხელი არა აქვს, ქალაქს გარედ ეს ვიგინტონები სცდილობენ, როგორც მთიულთა (დუშეთის მაზრის) აჯახუებამ ცხადჰყო, თვით თემს გადაჰკიდონ, და როცა მთავრობა ჰგზავნის მათ დასამშვიდებლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისთვის თავდადებულ სახალხო გვარდიელებს, ამხედ, ეგენი იმერლები არიანო მოძაგონდა პირველი რევოლიუციის ამბები, როცა ქართველი რევოლიუციონერები თავიანთ დედა-ქალაქში წითელი დროშით გამოვიდნენ ქუჩაში, რუსის შოვინისტები და მათთან ერთად მათი მემარჯვენე იდიოლოგი გაზეთი „გოლოს კავკაზა“ რევოლიუციონურ მოძრაობას იმერლობას აბრალებდა და მოითხოვდა მათ გაძევებას ტფილისიდან. უცხო ტომელთ თაყხედობა აქაზე უფრო შორს არსად წასულა, პოლიტიკური ცინიზმი არასოდეს ასე არ გამომჟღავნებულა! ტფილისი დედაქალაქია საქართველოსი, ხოლო თუ ბედუკუღმართობის წყალობით ზოგჯერ უცხო ტომელ მფლობელთა ხელთ ყოფილა, იმისი მიზეზი იყო საქართველოს დაქსაქსულობა. არამთა ბატონობა ტფილისში დაამხო გაერთიანებულ აფხაზ ქართველთ წინამძღოლმა დავით აღმაშენებელმა და იმავე გაერთიანებული საქართველოს დემოკრატია, რომელმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუპოვა თავის ტანჯულ სამშობლოს, ბოლოს მოუღებს რუსის და სომხის შოვინისტების პროვოკატორულ და მოღალატებრივ მოქმედებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

პატიოსანი და ერთგული მოქალაქე ჩვენი რესპუბლიკისა ერთნაირად პატივსაცემია, რა სარწმუნოების და ეროვნებისაც არ უნდა იყვეს, მისი მოღვაწეობა საქებარი და სამშვილიშვილოდ დასავედრებელია. ამიტომ საქართველო ვერ დაივიწყებს სომეხს სარგის თმოგველს, დიდებულ პოემის ავტორსა, რომელსაც შოთა რუსთაველი იხსენიებს როგორც ენა დაუშრომელსა; ვერ დაივიწყებს აგრეთვე სომეხს ზაქარია მხარგრძელს არღუთაშვილს, რომელმაც თამარის ოქროს საუკუნეს დიდი ბრწყინვალება შეჰმატა თავისი მხედრული ნიჭით, რამაც შინ მშვიდობა და გარეთ პატივისცემა მოუპოვა საქართველოს.

პეტრე მირიანაშვილი.

# თელავის ცხოვრება

თელავში შემდგარ პოლიტიკურ პარტიების კომიტეტების, რომლებიც მოწვეულ იყვნენ საგანგებოდ ჩამოსულ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელ ქ. ანდრონიკაშვილის და რ. ჩიხლაძის მიერ, გადაწყვეტილების თანახმად ხელახლად შესდგა თავდაცვის კომიტეტი, რომლის განსაკუთრებულ მოვალეობას შეადგენს წესიერების და მშვიდობიანობის დაცვა თელავში და მის მაზრაში.

კომიტეტს უკვე ჰქონდა პირველი კრება და სხვა და სხვა საჭირო დადგენილების გარდა გადასწყვიტა მაზრის წარმომადგენელთა მოწვევა ახლო მომავალში, რომლის ასრულება მიანდო აღმასრულებელ კომიტეტს.

აღმასრულებელი კომიტეტი მთელი თავის შემადგენლობით ისევე რჩება და იგი გაუძღვება მაზრის სამოქალაქო საქმეებს.

* *

მიმდინარე წლის სიმშილმა ყველა საგონებელში ჩააგდო და საზოგადო დაწესებულებები, როგორც კახეთის კავშირი, თელ. შემნ. გამს. ამხანაგობა, სასურსათო კომიტეტები თუ ქალაქის გამგეობა ცხლავე ჰფიქრობენ სურსათის შეძენის საქმის მოწყობას, რაც შეეხება კერძო პირთ ამათ უკვე დაიწყეს სოფლად სიარული და პურის დაბევება. წელს მეტად აქებენ პურის მოსავალს, ყველგან უხვი მოსავალია თურმე მოსალოდნელი და ასე ცალ-ცალკე საქმის დაჭერას შესაძლებელია ფასების ხელოვნურად აწევა მოჰყვეს.

ჩვენ ამის მომხრე სრულებით არა ვართ, რომ გლეხი კაცის ნაშრომი ნახევარ ფასად ჩაიგდოს ვინმემ ხელში, ვიცით რა ძვირად დაუჯდება მას პურის მოყვანა, მაგრამ ფასის განგებ აწევა და პურის გადამალვა, როგორც შარშან ჰქონდა ადგილი და სპეკულიაცია, ყოვლად შეუწყნარებელია ამისათვის საჭიროა ყველა ორგანიზაციის შეთანხმებული მოქმედება და ერთმანეთის თანხმობით სპეკულიაციის მოსპობა.

* *

სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლა, კერძო ვაჭრების, რომელთა მიზანს მარტოოდ მარტო ხალხის გატყავება და ფულის მოგება შეადგენს, გზიდან მოშორება, აი საითკენ უნდა იყოს მიმართული ყველა საზოგადო დაწესებულებათა მოქმედება.

სასიამოვნო აღსანიშნავია რომ თელავის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა, რამდენადაც კი ხელს უწყობს დღევანდელი ბაზარი, ცდილობს სამეურნეო საქმის გაფართოებას. ამ დღეებში მან მიიღო დიდ-ძალი რკინეულობა და სხვ. საქონელი, რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობისთვის. ამავე ამხანაგობამ განიზრახა პურის შეძენა, ამ ჟამად გამგ. წევრი ნ. ქაშაკაშვილი კახეთის სოფლებშია იმყოფება პურის ფასის გამოსარკვევად და საერთოდ საქმის ადგილობრივ გასაცნობად.

რაც შეეხება კახეთის კავშირს, ამან ერთი დიდი პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადასდგა ქიზიყში საკუთარ თამბაქოს ქარხნის გახსნით და ახლა კიდევ გადასწყვიტა მატყლის ოპერაციის საქმეც თვითონ აწარმოოს. რისთვისაც შისი გამგ. თავმჯდ. დ. ქედაგიძე და წევრი გ. სატისკაცი უკვე გაემგზავრნენ ალვანში თუშებთან მოსალაპარაკებლად და მათთან ერთად საერთო გეგმის შესამუშავებლად.

დროა ყველამ შეიგნოს, რომ კმარა სხვის ანაბარად ყოფნა, ამიერიდან უნდა ვეცადოთ რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნის და ამის შემდეგ მაინც ჩვენ ხელში უნდა იყოს ჩვენი მეურნეობის წარმოება გაფართოება, რომლისაც ცალ-ცალკე სათითაოდ და ყველამ საერთოდ ხელი უნდა შეუწყონ მდიდარ და დაუშრეტელ, მაგრამ ჯერედ ხორჩ თავისუფალ საქართველოს წარმოების დამუშავება-გამოყენებას...

დავიწყებული.

# ერობის გარშემო

საეროთო არჩევნები ქალაქთან მდებარე რაიონში. ამ რაიონიდან შეტანილია ორი სია: ფედერ. ჯგუფისა (№ 1) მეორე სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიისა (№ 2). პირველი სიით შემდეგი კანდიდატები არიან:

1. ქურხია კირილე კონსტანტინეს ძე ტფ. მაზ. სასურს. კ—ის თავმჯდ.
2. ვაშაძე იოსებ სპირიდონის ძე ინჟინერი.
3. რატიშვილი გრიგოლი დავითის ძე, ტფ. მაზრ. სასურ. კ—ის წევრი.
4. ლებანიძე მელქისედეკ ლუარსაბის ძე, ტფ. მაზ. სასურს. კ—ის წევრი
5. ზაქარიაშვილი ლევან ვასილის ძე მღვდელი.
6. იორამაშვილი დავით ზაქარიას ძე, ტფ. მაზ. სასურ. კ—ის წევრი.
7. სუთიაშვილი სვიმონ ივანეს ძე, მუშა.
8. სხირტლაძე ეპიფან პავლეს ძე, მღვდელი.
9. კახაბერი დავით გრიგოლის ძე, მღვდელი.
10. გვასალია დავით გიორგის ძე, აგრონომი.
11. ძამაშვილი ალექსანდრე კონსტანტ. მოხელე.
12. სარაჯაშვილი სოლომონ პეტრეს ძე, სამეურნეო საზოგად. მოსამს.
13. გაბრიკ გუსტავ გრიგოლის ძე მეურნე.

მეორე სიაში (სოც.-დემოკ.) შედიან:

1. მამულაშვილი ლევან ანტონის ძე, ტფ. მაზრის საადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომ.
2. გვანცელაძე ნიკოლოზ ივანეს ძე უფროსი.
3. იშხანოვი მიხეილ მიხეილის ძე, ნაფიცი ვექილი.
4. წამალაშვილი მიხეილ ფირანეს ძე, მეურნე.
5. ხელაძე ივანე ექვთიმეს ძე, სამიწათ-მოქმედო სამინ. ემისარი.
6. გალუსტიანი აშოტ მოგდასარის ძე, გამომძიებელი (უპარტიო).
7. სუთიაშვილი დარჩო ივანეს ძე, მეურნე.
8. კაუტერი ფრიდრიხი, მეურნე.
9. გაგლოშვილი იობ თებოს ძე, კოოპერატორი.
10. ოგანეზიშვილი ბაგრატ ემორის ძე, მეურნე.
11. მენთეშაშვილი გიორგი სტეფანეს ძე, მეურნე.
12. შახგულაშვილი იოსებ ივანეს ძე, მეურნე.
13. ბაბა-ასტან-ოღლი, მეურნე.

ტფ. მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

# სამშობლოს თავისუფლებისათვის

† შალიკო შაშაძე.

მე არ შემიძლია ცრემლიანი ნეკროლოგის წერა.

ან როგორ უნდა დაიწეროს ისეთი ადამიანის ნეკროლოგი, რომელსაც ჯერ ცხოვრებაც არ მოუსწრია.

22 წლის ახალგაზდა ჭაბუკი უდარდელი, სიცოცხლის უსაზღვრო ტრფიალით შეპყრობილი.

ჯერ მის სახეზე ნაღვლის ღრუბელს არ გადაერბინა.

მაგრამ როგორც უცხო ღიღოფალზე, შეყვარებულ ჰაჟს მას სხვებისაგან შეუმჩნევლად გულში ჰქონია დამარხული თავის უბედური საქართველოს ჩუმი სიყვარული.

მე ვფიქრობ საქართველოს დედაქალაქში უნდა აიგოს მაღალი, მაღალი ობელისკი რომელიმე მოედანზე ამ ობელისკზე უნდა წავაწეროთ 1918 წლის საქართველო-ოსმალეთის ომში დაღუპულების სახელები. ეს ომი საქართველოს განსათავისუფლებელი ომი იყო.

ამ ობელისკზე უნდა ეწეროს სიმონ შავგულიძე, პორუჩიკ მელუა, შელეგაია, კიდევ ბევრი, კიდევ მრავალი რომელიც ჯერ კიდევ ასაფლავია მდინარე ნატანების და ჩოლოქის ნაპირებზე გამწარებულ დედებისაგან დაუტირალი.

ყველაზე მწარე ხვედრი შალიკო ვაშაძეს ერგო.

აპრილის 10 იგი მტრის პოზიციის დასაზვერად გაგზავნეს ერთი ჯარის კაცის თანხლებით, უკვალოდ დაიკარგა ჭაბუკი მხედარი.

რა ერთგული ყოფილა შალიკო თავის სიტყვის, როგორ ჰყვარებია მას თავისი პატარა საქართველო!

მახსოვს მარტის 31 სამტრედიაში ვიდექით სათადარიგო ეშელონთან.

მეორე დღეს საშინელი ამბავი მოგვივიდა ბათომის დაკარგვაზე.

ჯარისკაცების დიდმა ნაწილმა გადასწყვიტეს ღამე, მეორე დილით რათაც უნდა დაგვჯდომოდა იერიშით უნდა წასულიყო ჩვენი ეშელონი ბათომზე. რამოდენიმე ოფიცერმა თანხმობა განაცხადა ჩვენს წინადადებაზე. მე საიდუმლო მოლაპარაკება გავმართე იმ ღამეს შალიკოსთანაც. საქონლის მატარებლის ჩრდილში ვილაპარაკებოდით მას იგი ხმის ამოუღებლად მისმენდა სიბნელეში. ვიღაც ფანრიანმა კაცმა გაგვიარა, ფანრის შუქზე მე მის თვალებში ჩავიხედე.

მას ცრემლით ავსებოდა თვალები.

მეორე დღეს ჩვენ სხვა და სხვა ეშელონს გავყევით, სხვა და სხვა მიმართულებით.

წასვლის წინ მე ღიმილით ჩამოვართვი ხელი.

— აბა შენ იცი შალიკო მაგ რეჯულ ძაღლებს...

მან ხმა არ გამცა. მაგრად მომიჭირა ხელი.

ეს იყო მისი ძლიერი ნების ყოფის გამოხმაურება. ეს ხელის ჩამორთმევა ამბობდა: „მე არ ვლაპარაკობ, თორემ მე შენზე ნაკლებად არ მიყვარს საქართველო."

დაიკარგა ახალგაზრდა მხედარი. აპრილის 10-დან ივლისის 3-ის ვერავის გაეგო სად იმყოფებოდა იგი. ყველას ერთი რამ სჯეროდა: შალიკო ტყვედ იქნება. რაღაც მისტიური წინასწარ გრძნობა მიკარნახებდა, რომ ის საზვერავ რაიონებში შეჰკვდა მტერს.

მომავალი მხნე ქართველი დედის ტიპია დედა მისი. თურმე მას ერთხელაც არ უკადრებია ომში მიმავალ ერთად ერთ შვილისთვის: ნუ მტოვებ მარტო მოხუცებულ დედასო.

— რას ფიქრობ, სად უნდა იყოს შალიკო? მეკითხებოდა გულ მოკლული დედა.

მე ვიცოდი რომ შალიკო მტერს ლაჩრულად არ დანებდებოდა. ვიცოდი რომ იგი სიმონ შავგულიძესთან და მელუასთან წავიდა.—მაგრამ ცალყბად ვაწუგეშე დედა: „ალბად ტყვედ ჩავარდა".

ივლისის 3 გულ მოკლული დედა წავიდა ოზურგეთისაკენ შვილის საძებრად. მდინარე ნატანების პირზე სევ გამწარებული დედა წააწყდა სამშობლოს ერთგული შვილის საფლავს. ლვთისნიერ სოფლელებს დაემარხათ ტყვიისმფრქვევლებისაგან დაგლეჯილი მეომრის ნეშთი.

იმან ვინც თავის ხელით აკვანში ჩააწვინა შალიკო, აჰკრიფა მისი გმირული სულის ნეშთი, ცარიელი ძვლები და შინ წამოიღო.

რითი ვანუგეშო მისი მოხუცი დედა? მაგრამ ეს ერთი მუჭა ძვლები დიდი მასალაა საქართველოს რაინდულ სულის მკვდრეთით აღდგომის ისტორიის დასაწერად.

რა ერთგული ყოფილა შალიკო თავის სიტყვის. მის გვერდით იპოვნეს მისივე ჯარის კაცის ბუაძის გვამი. ორივე პირმოურიდებლად შეჰკვდნენ მტერს საქართველოს აწინდელ საზღვარზე.

საქართველოს საზღვრებზე სიკვდილი!

სულ რამოდენიმე ქართველს ერგო ჩვენს ხსოვნაში ასეთი რაინდული სიკვდილი.

მოლრაიტ.

† ამხ. ვალოდიას და კუკუს (კონსტანტინეს) ხსოვნას.

ამა ივნისის 5 ს. ხოსტიდან (სოხუმის მაზრა) მეტად სამწუხარო ამბავი მოვიდა. ჩვენი საგანგებო ბადალიონის რაზმს და დემოკრატიას გამოაკლდა ორი შეგნებული და ძვირფასი ამხანაგი პორუჩიკი ვალოდია ფირცხალავა და პრაპორ. კუკუ მახხულია. როდესაც ამ წერილს ვწერ კიდევ ვერ დამიჯერებია ჩემი თავი რომ სამუდამოდ დავკარგეთ ამხ. ვალოდია და კუკუ. სამშობლოს და რევოლიუციის მტრებმა არ მოისვენეს, ირგვლივ გვარტყმიან, სურთ, რომ სისხლით და ტანჯვით მოპოვებული თავისუფლებას გულში ლახვარი ჩასცენ.

ამხ. ვალოდია და კუკუ, თქვენ ყველაფერს ამას კარგად ხედავდით და როდესაც განკარგულება მოვიდა სოხუმში გამგზავრებისა, სწრაფ აიღეთ თოფი ხელში და ერთგული სალდათებით გაემგზავრეთ იქ, რომ თქვენი წვლილი შეგეტანათ სამშობლოსა და რევოლიუციის დაცვაში. საუბედუროთ მტრის გამოსროლილმა ტყვიამ გული გაგიგმირონ და სამუდამოდ გამოგვთხოვეთ ამხანაგებს. მოულოდნელი იყო თქვენი დაკარგვა ამხ. ვალოდია და კუკუ ჩვენთვის, მაგრამ უფრო დანაკლისი და სამწუხარო ჩვენი სამშობლოსა და დემოკრატიისთვის, რადგან ხსნა რევოლიუციისა და სამშობლოსი შეუძლიათ მხოლოდ თქვენისთანა შეგნებულ ადამიანებს. თქვენი ამხანაგები, ფიცს ვსდებთ თქვენ წინაშე, რომ იარაღით ხელში დავიცვათ ის წმინდა საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებოდით და არ დავივიწყოთ თქვენი სახელი, სანამ ჩვენც თქვენსავით მტრის გამოსროლილი ტყვია გულს არ გაგვიგმირავს.

საუკუნოთ იყოს ხსენება თქვენი ძვირფ. ამხ. ვალოდია და კუკუ.

შ. კაკაბაძე.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

თქვენს გაზეთში № 241-ში მოწერილ ამბებში მოთავსებულია ახალსენაკიდან წერილი, რომელიც ეხება ჩემს პიროვნებას. წერილის ავტორი, ვიღაც რიონის პირელი, ამ წერილში ისვრის ჩემს წინააღმდეგ შემდეგს ბრალდებებს: 1) ვითომც და მე რაღაც მახინაცებით მიმეღოს ადგილობრივ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელში გამგის ადგილი, 2) მიღებისთანავე მიმიყვია ხელი იქაურ მასწავლებელთა შევიწროებისათვის, 3) თავის დროზე არ ვაძლევ მათ ჯამაგირებს, 4) რამოდენიმე თანამდებობის ადგილი სასწავლებელში თვითონ მიჰყოფს და ჯილდოსაც ვღებულობ, 5) არ ვემორჩილები პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებას, თუ ეს ეწინააღმდეგება ჩემს პირად სურვილს, და განვაგებ სასწავლებელს, როგორც თვითონ მსურს.

რამდენად სიმართლესთან ახლო არის ბ. რიონის პირელის ჩემ წინააღმდეგ წამოსროლილი ბრალდებები დეე გაარჩიოს სამედიატორო სამართალმა. მე ვასახელებ ჩემის მხრით მოქალაქეებს: სამუელ ანტონის ძე კეკელიას და პოლიკარპე ესტატეს ძე ლორთქიფანიძეს და ვსთხოვ ბ. ავტორს გამოამჟღავნოს თავის ვინაობა და დაასახელოს თავის მხრივ ორი კაცი და გამოვყვეთ სამედიატორო სამართალში ათი დღის განმავლობაში ამ წერილის გამოსვლის დღიდან.

მიხეილ ბ. თათარიშვილი.

გამოცხადებული
[illegible]

კბილის ექიმის
**ვ. ი. ჰიჰინაძის**
კაბინეტი
ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ი. ჰიჰინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.
მიხეილის პროსპ. 78. 591

ექიმი
**ა. ა. მუხაძე**
ბორჯომში გაემგზავრა და ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია. 1020

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—6 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
**ა. ლ. მელამშარიძე**
იღებს სიფილის და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროპავლის ქ. № 7. 1027

ექიმი
**ა. მუსხელიშვილი**
[illegible] 12—2 [illegible]
[illegible] ქ. № 8.

კბილის ექიმი
**კონსტანტინე არდაზიანი**
განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს [illegible] მაღარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, ჭლექით, ნერვებით, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი: მ. ახვლედიანის ქ. № 11. 426

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
ტფილისის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის ყოფილი სასქესო განყოფილების გამგე, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1, მეორე სართული. 1009

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. მაჩაბლის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
**ი. ი. ბერიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

მარტის 20 გაიხსნა
**ახალი სამკურნალო**
მოსიარულე ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნური კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.
ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.
დარიგება უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

**თვალის სამკურნალო**
მუდმივი საწოლით
**ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროს. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). შინ მე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმი
**კ. ტყეშელაშვილი**
დაბრუნდა [illegible] ვენერიული, საშარდე ორგანოების [illegible] სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—02. 1082

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
დაბრუნდა, იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, 2 [illegible]. 1002

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**ექიმ ნავასარდიანის**
პირველი კერძო
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ყოველ დღე ექიმები მორიგეობენ (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
მ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
მ. ა. მაჭრელი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. ავასაროვა: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აფთაქსიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფები 11½ ს.
მ. მ. ბენიაშვილი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. ავეტისიანი—9—11 ს. საკუთარივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—3 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ოხაკიანი: 6—7 ს. ქალების ავადმყ. და ქირურგიული.
ოპერაცია-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

# საჯარო ვაჭრობა

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ორშაბათს ივლისის 15-ს, დილის 11 ს. გამგეობის თანადასწრებით გაიმართება საჯარო ვაჭრობა: საიჯაროდ არის გასაცემი გადასახადი ქალაქის სასწორებიდან: 1) კახეთის მოედანზე, ნუხუფიროვის სახლის ეზოში და 2) სალდათის ბაზარში, ნერსესიანის სოფ. სემინარიის ეზოში. საიჯარო-სააღგილმამულო პირობების გაგება შეიძლება გამგეობის საიჯარო-სააღგილმამულო განყოფილებაში. 1227

# საჯარო ვაჭრობა

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს
რომ შაბათს, ივლისის 13-ს, შუადღის 12 საათზე ქალაქის გამგეობის თანდასწრებით
მოხდება საჯარო ვაჭრობა
იჯარით არის გასაცემი „საბუფეტო" ადგილი პუშკინის ბაღში. პირობების გაგება შეიძლება საიჯარო-სააღგილმამულო განყოფილების კანცელარიაში, სამსახურის დროს. 1227

სტამბა
**„სახალხო საქმე"**
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96